სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლების ნუგეშზედა...

# ოდიში

1991
შაბათი
28
სექტემბერი
№ 111 (10504)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფის, შეიარაღებული ძალებისადმი ხელმძღვანელობის გაწევის, ეთნოკონფლიქტების მოგვარების, ეროვნული უშიშროების თვალსაზრისით კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის, სტიქიური მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ექსტრემალური სიტუაციების და სხვა საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან ეროვნული უშიშროების საბჭო.

2. დამტკიცდეს ეროვნული უშიშროების საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

**საბჭოს თავმჯდომარე:**

**ზ. გამსახურდია** — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი,

**საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები:**

**ა. ასათიანი** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე,

**ბ. გუგუშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

**საბჭოს წევრები:**

**ზ. ბოკუჩავა** — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის კონსულტანტი — საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.

**ნ. გიორგაძე** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე.

**ჯ. გოლეთიანი** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

**თ. ვაშაძე** — საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილე.

**ნ. მოლოდინაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის მიუროს უფროსის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

**თ. ნინუა** — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

**მ. ომანიძე** — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი.

**ვ. რაზმაძე** — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი,

**ფ. ტყებუჩავა** — საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი,

**ქ. ღირცხალავა** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი,

**ჯ. ფირცხალაიშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი,

**ვ. ქობალია** — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი,

**ბ. ქუთათელაძე** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე,

**დ. ხაბულიანი** — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი,

**ჯ. ხეცურიანი** — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 21 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ქალაქ თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

**იმასთან** დაკავშირებით, რომ საქართველოში მიმდინარეობს სამხედრო და სამოქალაქო პუტჩი, შექმნილია ხუნტა, რომელსაც აქვს სამხედრო ძალა, ქალაქ თბილისში გააქტიურდნენ დესტრუქციული ძალები, რაც გამოიხატა უსანქციო მიტინგების მოწყობასა და კანონიერი ხელისუფლების ძალადური დამხობისათვის მოწოდებებში, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბლოკირებასა და სახელმწიფო დაწესებულებების შენობების დაკავებაში, საბრძოლო იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით შინაგან საქმეთა ორგანოებზე თავდასხმასა და სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებების გატაცებაში, სავაჭრო და საწყობების ობიექტების ძარცვაში, მოქალაქეთა და მათი ავტომანქანების თვითნებურ დაკავებაში, ჩხრეკასა და ნივთების დათვალიერებაში.

1. გამოცხადდეს ქალაქ თბილისში საგანგებო წესები ამა წლის 25 სექტემბრიდან.

2. დაინიშნოს ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტად პოლკოვნიკი ჯემალ ალექსანდრეს ძე ქუთათელაძე.

3. გამოცხადდეს საერთო მობილიზაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

4. დაევალოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, შექმნან სამობილიზაციო პუნქტები, ჩამოაყალიბონ სახალხო რაზმები.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებები ქალაქ თბილისში სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 24 სექტემბერი.

## მშვიდობიანი მისიით

მძიმე დღეები უდგას საქართველოს. მდგომარეობა დღითი დღე უფრო მძაფრი ხდება. ფაქტიურად საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი ორ ბანაკადაა დაყოფილი. ერთ მხარესაა ხალხის ნებით არჩეული პრეზიდენტისა და მთავრობის მომხრენი. ბარიკადებს მიღმა კი კანონიერი, კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობის ორგანიზატორთა მიერ გაბრიყვებული ადამიანებია.

რა რიგ სამწუხაროა რომ ქართველი ქართველს დაუპირისპირდა. იმას კი ვივიწყებთ რომ ბარიკადების ორივე მხარეს ჩვენი დები და ძმებია. მერე და ვინ გათიშა ისინი. მესამე ძალამ, რომელიც არაფერს ზოგავს იმისათვის, რომ ქართველი ქართველს გადაკიდოს ქართველს ხელში იარაღი აიღებინა თავისი მოძმის შესამუსრავად. ასეთ დროს კი ბრმად გასროლილი ტყვია მტყუანს და მართალს ვერ გაარჩევს.

რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად ზუგდიდელებიც დიდად შეაშფოთა საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ. სამოქალაქო ომის კარიბჭესთან მართ.

თბილისში დაწყებული არეულობის პირველსავე დღეებში ათასობით ზუგდიდელი გაემგზავრა პარლამენტისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად. ასე იყო 25 სექტემბერსაც. ამ დღეს ქალაქის მთავარ მოედანზე საღამოს 6 საათისათვის ათასობით ზუგდიდელმა მოიყარა თავი. ყველა მათგანს ერთი სურვილი და ერთი მიზანი ამოძრავებდა. ამ განსაცდელის ჟამს ედგნენ პრეზიდენტის დამცველთა გვერდით. წასვლის მსურველი ამ დღეს ძალზე ბევრი იყო, მაგრამ ყველას გამგზავრება ტრანსპორტის უქმარისობის გამო ვერ მოხერხდა.

ავტობუსებისა და მსუბუქი ავტომანქანების კოლონა დედაქალაქისაკენ დაიძრა. ჭაბუკებთან და ქალიშვილებთან ერთად აქ არიან ხანდაზმულებიც. ისინი თბილისში მიემგზავრებიან მშვიდობიანი მისიით: მოუწოდონ ბარიკადების მოპირდაპირე მხარეს მდგომ ჩვენს დებსა და ძმებს გონს მოეგონ ვიდრე გვიან არ არის, მხარი დაუჭირონ კანონიერ ხელისუფლებას.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი, ძვირფასო ზუგდიდელებო!

### საქართველოს მწვანეთა მოძრაობის სპიკერს ბატონ ზ უ რ ა ბ ჟ ვ ა ნ ი ა ს

**იმის გამო, რომ საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ დაარღვია მთელი რიგი კანონები, მოითხოვა პრეზიდენტის გადადგომა, რაც სავალალო შედეგამდე მიიყვანს საქართველოს და მისცემს მსოფლიოს იმის საშუალებას, რომ საქართველო როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, მთლიანად ამოიშალოს მეხსიერებიდან— ვგმობთ მწვანეთა მოძრაობის კომიტეტის გადაწყვეტილებას და გავდივართ მოძრაობიდან.**

ზვიად [illegible]ია.
ვალერი კირთაძე.

## არ გვეკადრება

ქართველები ემოციური ხალხი ვართ. გვჩვევია ხოლმე გაზვიადება. ხშირად გაიგონებ ასეთ ლეგენდას, რომელსაც ერთგვარი რომანტიკული იერი დაჰკრავს. მისი შინაარსი ასეთია: ღმერთმა სამყარო შვიდ დღეში შექმნა. აქედან ერთი დღე —შაბათი მთლიანად საქართველოს აშენებას დაუთმო. ჰოდა, ასეთი თვალწარმტაცი ქვეყნის პატრონები როგორ ვიქცევით? განა გვეკადრება ერთმანეთთან ასე დაპირისპირება, მამასისხლად გადაკიდება. ყოველივე ამას, ჩემი ღრმა რწმენით უფრო მეტად პირადი წყენა, ამბიციები უდევს საფუძვლად. არა და ამდაგვარი ქიშპი და შუღლი თიშავს ერს, აფერხებს იმ წმინდა და დიდ საქმეს რასაც ს ქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ჰქვია.

ასე მინდა მივმართო როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს: ნუ იზამთ ისე ი საქმეს, რომ თქვენს ნამოქმედარზე შთამომავლობა გწყევლიდნენ. მოუსხედით მაგიდას და გამართეთ ჭეშმარიტი პოლიტიკური დიალოგი. სადაო საკითხები მხოლოდ და მხოლოდ სალი განსჯით, ნამდვილი პოლემიკით მიიღწევა და არა ბარბაროსული მეთოდებით. გავიხსენოთ, რომ დიდი თამარის და შოთას, ვაჟას და გალაკტიონის მშობელი ერი ვართ და უკადრებელი არ გვეკადრება.

ა. გოგუა,
პედაგოგი.

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედკოლექტივის, მშობლებისა და მოსწავლეთა საყურადღებოდ!**

ზუგდიდის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეცადინეობა დაიწყება 1991 წლის 1 ოქტომბერს.

განათლების განყოფილება.

# სიკეთისა და მიტევების გზით

როდესაც ჩვენ დავრწმუნდებით, რომ გამოაღებ საკუთარი სახლის კარებს და იქ უკვე საქართველო იწყება, როდესაც ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ხვალინდელი ქართველის აღზრდა იქ, საბავშვო ბაღის კედლებში იწყება, ალბათ შეიცვლება ჩვენი აბსოლუტური წარმოდგენა მოვალეების მიმართ და ალბათ, რაღაცით მივუახლოვდებით ღმერთს. და იქნებ ეს მიახლოება უკვე გვიანიც იყოს, მაგრამ არა შეუძლებელი და არასაჭირო.

დღეს, როდესაც ასე გვიჭირს ყველანაირად, დღეს, როდესაც მხოლოდ ჩვენი „აქილევსის ქუსლი" ვანახეთ, მე არ შემიძლია კარაჭზე და ხორცზე ვილაპარაკო. ალბათ არასოდეს არ გვჭირდებოდა ჩვენ, განათლების დარგის მუშაკებს, საკუთარ თავში ისე ღრმად ჩახედვა, როგორც ეს დღეს გვჭირდება, რამეთუ ჩვენ სული გვაბარია, ჩვენ გვაბარია ხვალინდელი ქართველი, რომელმაც არა და არ უნდა უმტროს მოძმეს, არა და არ უნდა გამოაცალოს ნიადაგი, არა და არ უნდა ესროლოს ზურგში ტყვია, არამედ იყოს მისი ჭირისა და სიხარულის ზიარი, შეძლოს მის გვერდით დგომა, ცდუნებაზე ამაღლება, შეძლოს ანაცვალოს საკუთარი კეთილდღეობა სხვა — გაცილებით მაღლა მდგომ გრძნობას.

მე არ შევუდგები იმის რეკლამირებას, თუ როგორები უნდა ვიყოთ ჩვენ, საბავშვო ბაღის მასწავლებელ - აღმზრდელები, მაგრამ ერთი რამ მინდა აღვნიშნო, თუ არ შეგიძლია სხვისი შვილი საკუთარივით გულში ჩაიხუტო, მაშინ საბავშვო დაწესებულების კარებს არ უნდა გადააბიჯო, რამეთუ ვიცით, სიყვარულია ყველაფრის ძირი და ძირი.

სიკეთე, სიკეთის აღზრდა, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცება, აი, რა უნდა იყოს დღევანდელი საბავშვო დაწესებულების აღმზრდელისა და ნებისმიერი თანამშრომლის მისია. სხვაგვარად ჩვენ დავემსგავსებით მწყემსს, რომელმაც არ იცის რამდენი ბატკანი ჰყავს.

უთვალავი პრობლემა არსებობს ჩვენს წინაშე. უხერხულიც კია ახლა ილაპარაკო იმაზე, რომ საბავშვო ბაღებს ნახევარი წელია არ ჰქონიათ კარაქი და კომერციულ მაღაზიებს არ დაჰკლებიათ იგი, რომ შეფერხებებია პროდუქტებით მომარაგებაში და კომერციულ მაღაზიებში ეს პრობლემა არ არსებობს. მესმის არსებული პროცესების სიმწვავე, მაგრამ ხომ შეიძლება არ შევქმნათ ასეთი საშინელი პარადოქსები და ყველაფერი ბავშვის უცოდველ კისერს არ გადავამსხვრიოთ. ხომ უნდა მოინახოს ბოლოს და ბოლოს გამოსავალი და ხომ ხმამაღლა ითქვას მომარაგებისა და კვების საკითხში ხელისშემშლელ პირობებზე?

ჩემი აზრით, არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე გიხაროდეს სამსახურში მისვლა, ხედავდე შენი მონდომების შედეგს, ხედავდე აბსოლუტურ სილამაზეს, რომელიც უნდა წაიღოს აღსაზრდელმა საბავშვო ბაღიდან. ჩვენი გონებისა და გონიერების ს.. ვდაათწლიანმა გაყინვამ მოგვცა ის, რაც სახეზეა, თორემ არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ არსებობს ყოველწლიურად სარემონტო საბავშვო ბაღები.

განათლების განყოფილების არნახული მონდომების შედეგად მოხდა ის, რომ მოლონიერდა ეს უბადრუკ მდგომარეობაში მყოფი შენობები. № 18 საბავშვო ბაღს ამ ზაფხულს ჩატარებული რემონტის შედეგად აქვს გარანტია, რომ გაუძლებს რამდენიმე ზამთარს.

პრობლემები უთვალავია, მაგრამ, მოდით, მივხედოთ ყველაზე დიდ პრობლემას —სიკეთისა და მიტევების გრძნობათა აღზრდას და ვილოცოთ, რომ იმ, ჩვენი სახლის კარებიდან დაწყებული ობოლი საქართველო შეეფაროს თავისი დედის — ღვთისმშობლის კალთას.

ლამზირა ღირცხალავა
№ 13 საბავშვო ბაღის გამგე.

# განახლებული გულის ფეთქვა

გაზეთ „ოდიშის" ამა წლის 8 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი „ნუ ჩაუქრობთ იმედს" რომელიც ეხებოდა თანდაყოლილი კომბინირებული გულის მანკით დაავადებულ ჩვენს შვილს კობა ყურაშვილს. განკურნება მხოლოდ საზღვარგარეთელ სპეციალისტებთან შეიძლებოდა, რისთვისაც საჭირო იყო გარკვეული რაოდენობით ვალუტა.

დახმარების ხელმაც არ დააყოვნა. ულრმესი მადლობა ყველა, კეთილ ადამიანს, ქალბატონ დოდო ქარდავას ქალაქისა და რაიონის იმ წარმოება-დაწესებულებებს, რომელთაც ყველაფერი იღონეს ავადმყოფი ბავშვის ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად. იქ კობას გაუკეთდა სერიოზული ოპერაცია, რის შედეგადაც დაუბრუნდა ჯანსაღი გულის ფეთქვა.

ღმერთმა ყველა ქართულ ოჯახს დაუბედოს და აუკიაფოს ის დიდი იმედი, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

ნანული და რეზო ყურაშვილები.
მშობლები

საკითხის დასმის წესით

# დროა, სახელი შეეცვალოს

ზუგდიდის რაიონში ცაიში ერთერთი უძველესი სოფელია. ხანდაზმული ადამიანების გადმოცემით პირველი მოსახლეები ცაიშიდან ყოფილან: ქირიები, ზამუგიები, მეუნარგიები, ჟორდანიები. ხოლო უფრო გვიან მოსაზღვრე კახათელებმა იწყეს ამ ადგილებზე დასახლება. ახალი დასახლებული ადგილი გამოეყო ცაიშს და ეწოდა „ცაიშურ-კახათი". ეს სახელი სოფელს ჰქონდა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე. შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ლიდერების დაჟინებული მოთხოვნით სასოფლო კრებამ გადაუწყვეტა სოფლისთვის „ოქტომბრის" დარქმევა. ეწერშიც დასახლდნენ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები, უფრო მეტად კი მარტვილის რაიონის სოფელ თარგამეულიდან. იგი უბნად ჩამოყალიბდა. ჯერ დაერქვა „დავითიანი". შემდეგ „მიქოიანი". ბოლოს კი „თარგამეული".

1989 წლიდან სოფლის ახალგაზრდობა ითხოვს სოფელ ოქტომბრის სახელის შეცვლას. ჩატარდა კრება, მაგრამ უშედეგოდ. სოფლის კომუნისტები წინააღმდეგნი იყვნენ ამისა. კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ მაინც შესრულდეს ახალგაზრდობის სამართლიანი მოთხოვნა და სოფელი ღირსეული სახელით მოინათლოს. საწყენია, რომ ეს საკითხი კვლავ ჭიანურდება.

ვსარგებლობ რა მომენტით, საზოგადოებას ვთავაზობ ჩემს აზრს: ვინაიდან სოფელი დასახლებულია ცაიშიდან, კახათიდან, თაგილონიდან და სხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანებით, მას უნდა ეწოდოს „ნართი" (მეგრული სიტყვა, რაც ნიშნავს განაყოფ ხალხს, განაყოფ ადგილს.

ჩემი სურვილია, საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ მუზეუმის თანამშრომლებმა.

ლ. ჟორდანია,
ფილოლოგი.

# ქრონიკა

# ვეტერანთა კონფერენცია

ამა წლის 18 სექტემბერს ჩატარდა ომისა და შრომის ვეტერანთა ზუგდიდის საქალაქო ორგანიზაციის მესამე კონფერენცია, რომელსაც დელეგატების გარდა ესწრებოდნენ საწარმო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პროფკავშირის კომიტეტების თავმჯდომარეები.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის ბიქტორ ესართიას ანგარიში ომისა და შრომის ვეტერანთა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს მიერ 1989 წლის მარტის თვიდან 1991 წლის სექტემბრამდე ჩატარებული მუშაობის შესახებ.

სარევიზიო კომისიის ანგარიშით წარსდგა ამ კომისიის თავმჯდომარე შოთა თოფურიძე.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობდნენ: მამანტი პაჭკორია, ვლადიმერ შონია, ლადო ჭანია, შალვა ჯიქია, დავით აბსავა, ბაბუცა მაქაცარია, ნელი პედია, რამინ კუკავა, უკლე კოდუა, ბუხუტი კიტია, ზუგდიდის პრეფექტის მოადგილე გობრონ ჯახია, პრეფექტურის განყოფილების გამგე ხვიჩა ბენდელიანი.

კონფერენციამ განხილულ საკითხებზე მიიღო დადგენილება და აირჩია ვეტერანთა საბჭო, სარევიზიო კომისია, ვეტერანთა მეორე რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატები.

ვეტერანთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბიქტორ ესართია, მოადგილეებად —შოთა ლემონჯავა და შალვა ჯიქია, მდივნად—ნიკოლოზ ადამია.

დასასრულს კონფერენციის მონაწილეებმა დეპეშა გაუგზავნეს საქართველოს უზენაეს საბჭოს, რომელშიც გამოხატულია მხარდაჭერა რესპუბლიკის პარლამენტის მიერ აღებული კურსისადმი.

ჩვენ მხარს ვუჭერთ რა რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას, — ნათქვამია მიმართვაში, — კატეგორიულად მოვითხოვთ აღიკვეთოს ოპოზიციონერთა ანტიკონსტიტუციური მოქმედება და მიეცეს ნორმალური მუშაობის საშუალება საქართველოს პარლამენტს.

# თანადგომა

# სპონსორთა ბიზნეს-კლუბი

ნარაზენი ერთ-ერთი დიდი და ძლიერი სოფელია ჩვენს რაიონში. აქ ფუნქციონირებს რამდენიმე საბავშვო ბაგა-ბაღი. იმის გამო, რომ დღევანდელ რთულ ეკონომიკურ პირობებში სახელმწიფოს მათი შენახვა საკმაოდ სოლიდური თანხა უჯდება, გაიზარდა მშობელთა კვების გადასახადებიც. წარმოიდგინეთ იმ მშობელთა მდგომარეობა, რომლებსაც ბაგა-ბაღის ასაკის 2-3 ბავშვი ჰყავთ; მათი საბავშვო ბაღში მიმაგრება და კვების თანხის გადახდა მშობელთა თხელ ჯიბეს კიდევ უფრო ათხელებს. და რაოდენ სასიხარულოა, როდესაც ასეთ რთულ პირობებში გამოჩნდება ისეთი პიროვნება ან საწარმო, რომელიც ვალდებულებას იკისრებს სპონსორობა გაუწიოს საბავშვო ბაღს.

ასეთთა რიგს მიეკუთვნება ნარაზენის ბიზნეს-კლუბი „ალვიტა", რომელმაც მისი პრეზიდენტის ბატონ გიგლა ნანავას პირადი ინიციატივით ივალდებულა სპონსორობა გაუწიოს ნარაზენის კოლმეურნეობის № 1 საბავშვო ბაღს (გამგე ა. ცაბუტაშვილი); ამ საბავშვო ბაღის შენახვის მთლიანი, მათ შორის პატარების უფასოდ კვების ხარჯების გადახდა იკისრა კლუბმა „ალვიტამ".

ჩვენ, ამ ბაღის აღსაზრდელთა მშობლები დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამთ კლუბ „ალვიტასა" და მისი პრეზიდენტის მიმართ.

დაე, გვიმრავლოს ასეთი სპონსორები.

ნინო ჯანაშია,
შორენა თოდუა,
მშობლები.

# საქმეს მაშინ ეშველება

დღეს უდიდესი ეროვნული პრობლემაა მომავალი თაობის აღზრდა-განათლება. ამ საქმეში საქართველოს თითქმის ყველაფერი თავიდან აქვს დასაწყები, რადგან განათლების სისტემა თითქმის კატასტროფამდე იყო მისული.

სკოლაში არსებული მდგომარეობა კარგად იქნა გაანალიზებული ამ რამდენიმე დღის წინათ გამართულ მასწავლებელთა რესპუბლიკურ შეხვედრაზე, სადაც თავისი აზრი გამოთქვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

ჩემი რწმენით, საქმეს მხოლოდ მაშინ ეშველება, თუ გადაკეთდება მთლიანად განათლების სისტემა და არა მისი ცალკეული რგოლი.

ჩემი პედაგოგიური მუშაობის 12 წელი მაძლევს იმის საშუალებას, რომ განვაცხადო, ჩვენთან მოსწავლეები დადებით შეფასებას უფრო მიელტვიან, ვიდრე ცოდნას. შედეგი ასეთი მიდგომისა ბუმერანგივით უბრუნდება საზოგადოებას, რადგან ძალიან მომრავლდნენ დიპლომიანები და არა საქმის მცოდნე სპეციალისტები. ასეთი ხარისხის სპეციალისტები სკოლასაც არ აკლია და წარმოვიდგინოთ მათი პროდუქცია, რომელიც ასევე დაბალი ხარისხისაა. ამიტომ მივესალმები ისეთ სიახლეს, როგორიც მასწავლებელთა კატეგორიებად დაყოფაა. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გათავისუფლდეს სკოლა სოლივით ჩასობილი უღირსი პედაგოგებისაგან...

დადგა დრო, მწვანე გზა მიეცეს მოაზროვნე პედაგოგებს, რომლებიც ვერ ეგუებიან შტამპებით მსჯელობას და აზროვნებას, მოსწავლეში ხედავენ თანასწორუფლებიან წევრს და ყოველნაირად ცდილობენ ურთიერთობის დამყარებას...

რიგი პედაგოგებისა და მეცნიერებისა თვლიან, რომ სწავლების ხარისხის ამაღლების ძირითადი საწინდარია სწავლების მეცნიერული მეთოდიკის შემოღება და დახვეწილ, გამართულ სახელმძღვანელოთა შექმნა, თუმცა უნდა ვაღიარო, არც უამისოდ შეიძლება. მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლებში ტრადიციულად ხდებოდა და ხდება, როცა დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები კლასიდან კლასში მაინც გადაჰყავთ. ვერ...რი ეფექტი ვერ მოგვცა წელს ჩატარებულმა მე-10 კლასში გადასაყვანმა მისაღებმა გამოცდებმა, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი და ერთმანეთის დაპირისპირება გამოიწვია. ბოლოს კი ბრძანებამ ხელახალი საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის შესახებ ელფერი დაუკარგა ვითომ იმ ობიექტურობას, რაც პირველი ბრძანების გატარებისას იქნა გამოჩენილი. რა გამოვიდა, პირველი ბრძანება მეხივით დაატყდა მოსწავლეებს და მშობლებს, მეორემ კი კიდევ ერთხელ შეულახა ავტორიტეტი სკოლას. ჩემი აზრით, ზემდგომ ორგანოებსაც სჭირდებათ მეტი დაფიქრება ასეთი ექსპერიმენტების ჩატარებისას. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დაესვას წერტილი იმ დაუსრულებელ ექსპერიმენტებს, რომელსაც სკოლისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. არა და სკოლებს ძალიან უჭირთ ამ ექსპერიმენტებმა სკოლაც დაღბნია მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც.

ქეთინო კიკალეიშვილი
ოდიშის მე-2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

# მთავარია ეკოლოგიური სიჯანსაღე

**გაზეთ „ოდიში“ (№82, 11 ივლისი) გამოქვეყნდა ზუგდიდის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თევზდაცვის ინსპექციის მიმართვა ქალაქისა და რაიონის მოსახლეობისადმი, ყველა ზუგდიდელისადმი, რომელშიც ხაზგასმულია ბრაკონიერობისა და ბუნების დაცვის საქმეში არსებული დარღვევები. ინსპექციის თანამშრომლები მოუწოდებდნენ რა დასახულ ღონისძიებებში მხარდაჭერისკენ, მოსახლეობას თხოვდნენ გამოხმაურებას. ორი თვე გავიდა. ცნობისმოყვარეობამ ზუგდიდის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თევზდაცვის ზონალური ინსპექციის ხელმძღვანელ რამაზ ჩარგაზიასთან მიგვიყვანა.**

**—ბატონო რამაზ, მიმართვა დაიბეჭდა... რა მოხდა შემდეგ?**

—სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი შედეგი ვერ მივიღეთ, ყოველ შემთხვევაში მეტს მოველოდით. ვიმედოვნებდით მიმართვაში დაყენებულ საკითხებს საზოგადოებრიობა გულთან ახლოს მიიტანდა, ველოდით წერილობით გამოპასუხებასაც, მაგრამ გამოხმაურება არ ყოფილა. არც პრეფექტურაში განხილული თათბირის შემდეგ შეცვლილა მიმართვაში აღნიშნული მდგომარეობა. ამდენად მიმართვა მიმართვადვე დარჩა.

**—თუ ასეა, ერთხელაც შეახსენეთ საზოგადოებრიობას მიმართვის არსი.**

—მიმართვაში, რა თქმა უნდა ფაქტები დაკონკრეტებული არ არის. ეს არის მოწოდება მოსახლეობისადმი, აღდგენილ და დაცულ იქნას ეკოლოგიურად საგანგაშო ადგილები. რაც შეეხება თათბირს, გამოტანილ იქნა სამი საკითხი:

1) ენგურის წყალსაცავზე თევზჭერისთვის აკრძალული სარეწი იარაღების გამოყენების შესახებ.

2) თევზჭერისათვის აკრძალულ ზღვის 5 მილიან ზონაში ბრაკონიერობის შესახებ.

3) წარმოება-დაწესებულებების და კოოპერატივების მიერ წყალსაცავის გაბინძურება.

**—საკითხთა მოგვარებას სხვა სპეციფიკურ ფაქტორებთან ერთად თითოეული ჩვენთაგანის, როგორც ადამიანის პოზიციაც განსაზღვრავს. ამდენად, წყალსაცავების ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი ნაგვით გაბინძურების საკითხს უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს ზემოთ აღნიშნულ საკითხთა კონტექსტში...**

—„უპირატესობის პრეტენზიაზე“ საუბარი ძნელია, მით უმეტეს როცა სანაპიროს კატასტროფული მდგომარეობა უცხადესი ფაქტია. თებერვალში დაიგეგმა გასასუფთავებელი სამუშაოები რკინაბეტონის ქარხნის მიმდებარე მარჯვენა ტერიტორიიდან ჭუმის შესართავამდე. ეს საქმე სხვა ოთხ ორგანიზაციასთან ერთად თევზჭერის ინსპექციასაც დაევალა. აღებულ იქნა ნებართვა საქზღვათევზმშენის სამმართველოში. მიუხედავად ამისა სანაპიროს მდგომარეობა კვლავ საგანგაშოა.

რაც შეეხებათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კოოპერატივებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით დანაგვიანებაში, კვლავ განუკითხავად მანევრირებენ. მშვენივრად გრძნობენ თავს სანაპიროზე გაშენებული სახერხი, ავტოსამრეცხაო, ბენზინის ავტოგასამართი, ასევე სხვადასხვა კოოპერატივები, რომელთაგან არც ერთი არ უერთდება საკანალიზაციო სისტემას და არავითარ გაწმენდას არ ექვემდებარება. თავიდან უნებართვოდ დაფუძნებული კოოპერატორები ნებართვის მისაღებად შემდეგ მოდიან, უარყოფითი გასტუმრებით მაინც არაფერი ხერხდება. ამასობაში სანაპირო აუნაზღაურებელ ეკოლოგიურ ზიანს განიცდის.

**—გასაგებია, რომ ნაგავი სანაპიროდან აუცილებლად უნდა გაიტანონ, ამასთან რაც შეიძლება სწრაფად. მაგრამ სად უნდა დაბინავდეს. რა აზრის ხართ ნაგვისგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობაზე?**

—თავიდან უნდა აღვნიშნოთ, თუ საიდან მოდის სანაპიროზე ნაგავი. იმის გამო, რომ კომუნალური განყოფილება ქუჩებს ვერ უზრუნველყოფს სპეციალური ნაგვის გამტანი მანქანებით, ხშირად ნაგვის გატანა გვიანდება. განაწყენებული მოსახლეობა კი „დატვირთული“ მიმართავს მდინარეს, წყალსაცავს და „თავისუფლდება“. ამდენად, სანაპიროს დანაგვიანების ერთ-ერთი წყარო მოსახლეობაა. ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად ალბათ თუნდაც სამტრედიის მაგალითის გამეორება გვმართებს. ყოველ ას მეტრში დადგას ბუნკერი, რომელიც სისტემატურად დილაობით გათავისუფლდება. ამით ნაგვის დინება სანაპიროსკენ შემცირდება.

რაც შეეხება ნაგვის გადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობას, ეს კატეგორიულად დაუშვებელია ზღვის სანაპირო ზოლთან ახლოს. მცირე მოცულობის საწარმოს შექმნა კი, რომელიც ქალაქის მოსახლეობიდან გატანილ ნაგავს დააკმაყოფილებს, საჭიროცაა, უფრო მეტიც, ეკოლოგიურად აუცილებელია. რაც შეეხება ე. წ. „რადიაციულ ნაგავს“, რომლის შესახებ ხშირად გვესმის, სულ სხვა განმარტება აქვს და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ჩვეულებრივ მოსახლეობიდან გატანილ ნაგავს. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს ნაგვის გადასამუშავებელი მექანიზმი, რომელიც არა მხოლოდ ათავისუფლებს მოსახლეობას, არამედ ნარჩენებისგან გამოყავს მაღალი ღირებულების სახსრებიც. გრანდიოზულ მშენებლობებთან ბიძილმა კრიზისამდე მიგვიყვანა. ამდენად არ უნდა შევეპიდოთ ფართო საწარმოებს, არამედ მცირეთიც დავკმაყოფილდეთ...

**— ბუნების დაცვის კომიტეტი, ეკოლოგიური ცენტრი, მონადირეთა კავშირი, თევზჭერის ინსპექცია, მწვანეთა მოძრაობა ერთმანეთისგან გამიჯნავი ორგანიზაციებია. ერთობლივი მუშაობით უკეთეს შედეგს ვერ მიიღებთ?**

—სამოცდაათი წლის მანძილზე ერთობლივი მუშაობის არავითარი პრაქტიკა არ გაგვაჩნია. ამდენად, ერთობლივ მოქმედებასაც გარკვეული დაბრკოლებები აქვს. ამასთან, თევზჭერის ინსპექცია ამის წინააღმდეგი არასდროს არ არის. პირიქით, ბუნების დაცვის კომიტეტსა და მონკავშირის გამგეობასთან ერთად შემუშავებული გვაქვს ერთობლივი გეგმა, რომლითაც სისტემატურად ტარდება ერთობლივი რეიდები და შემოვლები, ხდება პრობლემათა ერთად გადაჭრა. რა თქმა უნდა, აჯობებდა მეტი სიახლოვე მწვანეთა მოძრაობასთან და ეკოლოგიურ ცენტრთან, ვინაიდან საერთო მიზანი გვაქვს — ეკოლოგიური სიჯანსაღე.

—იმედია, საზოგადოებრიობა ბოლომდე გულგრილი არ დარჩება თქვენი მიმართვისადმი და სათანადოდ გამოეხმაურებათ.

ესაუბრა: თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი
**რუსიკო მიქენაია.**

---

პრობლემა:

# შიდსი: რა გველის ხვალ?

შიდსის ეპიდემიის გავრცელების შესახებ არსებული ოპტიმისტური პროგნოზებიც თავზარდამცემია.

თუ ორი წლის წინ ე. წ. სსრკ-ში მხოლოდ 50 ვირუსმატარებელი იყო, დღეს ამ ციფრმა მიაღწია 440-ს, რომელთაგან უმრავლესობა ბავშვია. უკვე გარდაიცვალა 14 ადამიანი, ამათგან 2—საქართველოში.

კომპიუტერული პროგნოზით წლეულს ინფიცირებული იქნება 6200 ადამიანი, 1992 წელს— 23500, 1993 წელს — 89000, ხოლო საუკუნის დასასრულს —მილიონნახევარს. მძიმედ დაავადებულთა რიცხვი 30000 გადააჭარბებს. წარმოდგენილი გაანგარიშება ოპტიმისტურად ითვლება. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამალეის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის პროგნოზების მიხედვით, თუ სსრკ ვერ გაატარებს გადაუდებელ ღონისძიებებს, 2006 წლისათვის ვირუსმატარებელთა რიცხვი აქ მიაღწევს 50 მილიონ ადამიანს, 2010 წლამდე დაიღუპება 20 მილიონი კაცი. ხოლო 2010 წლამდე სენი შეიწირავს მთელი ახალგაზრდობის 40 პროცენტს. ამ დროისათვის ეკონომიკა უკვე უძლური იქნება განაგრძოს ფუნქციონირება.

შიდსი არნახული საშიშროებით ემუქრება იმ ქვეყნებსაც, ვისაც მძლავრი ეკონომიკა და ჯანმრთელობასთან ბრძოლის გამოცდილება აქვს. შიდსის მიერ ამერიკისათვის მიყენებული ზარალი 90-იანი წლების დასაწყისისათვის შეფასებულია 1000 მილიარდი დოლარით. უკვე 1996 წელს აშშ-ში შიდსთან ბრძოლაში დახარჯული თანხა გადააჭარბებს სამხედრო ბიუჯეტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა გველის ჩვენ— ათას ჭირვარამში მყოფ, ეკონომიკურად დაუძლურებულ ქვეყნის შვილებს.

უფლისაგან დალოცვილია ერი და პიროვნება, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, ოღონდ ბორკილების მსხვრევის პარალელურად იმაზეც ვიზრუნოთ, რომ თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეები ჩვენი შთამომავლები იყვნენ, რომ სწორედ ისინი შეადგენდნენ მრევლს ტაძრისას, დღეს რომ ვუყრით საფუძველს.

მეგობრებო, დებო და ძმებო! დღესვე დავარისხოთ ზარები, რათა ხვალ რეალურად არ აღმოვჩნდეთ ფიზიკური გადაშენების საშიშროების წინაშე.

ხსნა ჩვენს კონსოლიდაციასა და სულიერ განწმენდაშია და კიდევ —პრობლემების სისტემატურ გაცნობიერებაში. ინფორმირებულობით, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობით, მოსალოდნელი საშიშროების გასიგრძე-განებით დღეს მილიონობით ადამიანის გადარჩენა შეგვიძლია, ხვალ კი შეიძლება გვიან იყოს.

**საქართველოს ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის შიდსის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება.**

---

წიგნის თაროს შეემატა

# ჭეშმარიტი რუდუნების შედეგი

ქართველურ ენათაგან ერთ-ერთი საინტერესო ფენომენის— მეგრულ-ჭანური ენის მეგრული დიალექტის კვლევა გაუხდია თავისი ღწვა-რუდუნების საგნად წალენჯიხის მკვიდრს მამანტი ძაძამიას. ავტორმა ამასწინათ, მკითხველს მიაწოდა ნაშრომი ორ წიგნად, რომლის სახელწოდებაა „მეგრული დიალექტი“. ნაშრომი გამოუშვა გამომცემლობა „მერანმა“.

საშური გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით იკვლევს ავტორი მეგრული დიალექტის თავისებურებებს, ძირძველ ქართველურ ენებთან მის მკვიდრ ერთიანობას და თანამოძმეობას. ნაშრომში მკაფიოდ წარმოჩნდება მეგრულის ზმნის, ზმნისწინების და ზმნისსართების განუმეორებელი მნიშვნელობა და ხიბლი. ამ თვითმყოფადი ფენომენის სპეციფიკური ნიშანთვისებების ძიების სფეროში ავტორს აქვს საინტერესო მიგნებები, რაც მეგრული ზმნის ფორმათა სიუხვეზე მიგვანიშნებს.

მკითხველი ამ წიგნების გაცნობისას შეუძლებელია მადლიერებით არ აღივსოს მ. ძაძამიას მიმართ, რომელმაც მეგრული მეტყველების წიაღში დაბუდებული საუნჯის გამოვლენითა და გამომზეურებით ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმე გააკეთა ჩვენი მშობლიური საერთო ქართული ენისათვის.

გაუნელებელი ინტერესით კითხულობ ამ წიგნს და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიდიხარ შემდეგ დასკვნამდე: ხატოვანი სიტყვების, ანუ, ეპითეტების განსაკუთრებული სიუხვის და ზმნის ფუძედ მათი გამოყენების წყალობით მეგრული მეტყველება ეპითეტური ზმნების გასაოცარი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც ამ დიალექტის ფრიად საინტერესო თავისებურებას წარმოადგენს.

მადლობის მეტი რა გვეთქმის ავტორისადმი, რომელმაც ამ სიმდიდრეს გვაზიარა. მრავლის მთქმელია ის შტრიხიც, რომ ბატონი მამანტი სულ სხვა სფეროს წარმომადგენელი გახლავთ და დროს მაინც პოულობს ქართული ენის კვლევისათვის.

ვულოცავთ ჩვენს მეგობარს ამ მშვენიერი წიგნის გამოცემას და მომავალში ვუსურვებთ ასევე წარმატებით მუშაობის გაგრძელებას ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

**ჯ. ფულია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადიული ხსოვნა

ხიცოცხლით სავსე, ენერგიული, შესანიშნავი მოქალაქე, განსწავლებული, შესანიშნავი შვილი, მეუღლე, მამა, ძმა, მეგობარი და ამხანაგი—ასეთი იყო და დარჩება მუდამ მისი მეგობრებისა და ნათესავების გულში— იაშა სოლომონის ძე მაქაცარია.

მეტად დასანანია, რომ ადრე წავიდა იგი ცხოვრებიდან, რითაც მისი მშვენიერი სიცოცხლე დააკლდა რაიონს, ნათესავებს, გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელის უკვდავსაყოფად გვეყოლინება მისი ვაჟიშვილი ლევანი.

არ ივიწყებს მას ის მოსწავლე, რომელსაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი გაკვეთილი, არ ივიწყებს მას ის სოფელი, სადაც ხელმძღვანელად უმუშავნია, არ ივიწყებს მას ის საზოგადოება, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იღვწოდა.

მოგონება და უყვავილები ნუ მოკლებოდეს იაშას ხსოვნას და მის მარადიულ სასუფეველს.

დოდო მაქაცარია.

რედაქტორი
აკ. შანტურია.

იყიდება ქიმწმენდის დასამონტაჟებელი მანქანა [illegible] შეღავათიან ფასებში.
მისამართი: ქ. სენაკი, მენჯი. ვლოდი [illegible].
ტ. 2—34—33.

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

1991 წლის 1 ოქტომბერს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე საღამოს 17 საათზე საქართველოს რესპუბლიკის პენსიონერთა საქველმოქმედო მრავალრიცხოვანი ასოციაცია „სიბრძნე" ჩაატარებს საქველმოქმედო კონცერტს ქართული ესტრადის ვარსკვლავთა მონაწილეობით.

კონცერტში მონაწილეობენ: მაია ჯაბუა, ნუნუ გაბუნია, ეთერ კაკულია, ოთარ ტატიშვილი, ბესიკ კალანდაძე, ეკა კვალიაშვილი, თემურ თათარიშვილი, თემურ ყვითელაშვილი, კობა ბეჟიტაშვილი, ქეთო ტურაშვილი, გოგონათა ანსამბლი „მზე და შოკოლადი".

ერთი ცალი ბილეთის ღირებულება ათი მანეთი.

კონცერტზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება 30 სექტემბერს 1 ოქტომბერს ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის სალაროებში დილის 10 საათიდან.

ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი „ოდიში".

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

სპეციალიზირებული სასწავლო კოოპერატივი „ცოდნა" ამზადებს აბიტურიენტებს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისათვის შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა.
2. საქართველოს ისტორია.
3. გერმანული ენა.
4. ინგლისური ენა.
5. მათემატიკა.
6. ფიზიკა.
7. ქიმია.
8. ბიოლოგია.
9. ხაზვა.

კოოპერატივის პედაგოგები არიან მაღალკვალიფიციური გამოცდილი სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ აბიტურიენტებთან მუშაობის გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს აბიტურიენტთა მომზადების მაღალ ხარისხს.

განცხადებების მიღება წარმოებს მიმდინარე წლის 14 ოქტომბრამდე. მეცადინეობა დაიწყება 15 ოქტომბერს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა №2, პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა, მე-2 სართული, ოთახი №211.

## ყურადღება! გაიხსნა ახალი უმაღლესი სასწავლებელი. სოხუმის მენეჯერების ინსტიტუტი

სოხუმის მენეჯერების ინსტიტუტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის წარმოებისგან მოწყვეტით (დასწრებული) შემდეგ ფაკულტეტზე:

1. აგრობიზნესის (ქართული და რუსული სექტორები) კვალიფიკაციით: სოფლის მეურნეობის და ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის ეკონომისტ-მენეჯერი.

2. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების (ქართული და რუსული სექტორები).

კვალიფიკაციით: ეკოლოგიის და გარემოს დაცვის ტექნოლოგ-მენეჯერი.

აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხდება გასაუბრებით

აგრობიზნესის ფაკულტეტზე გასაუბრება იწარმოებს საგნებში: უცხო ენა, მათემატიკა, გეოგრაფია,

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ფაკულტეტზე: უცხო ენა, ქიმია, ფიზიკა.

ინსტიტუტში სწავლების ვადა 5 წელია. სწავლის ქირა წელიწადში 4000 მანეთია, მთლიანი თანხა 20000 მანეთი უნდა გადაერიცხოს ინსტიტუტს ერთდროულად ჩარიცხვამდე.

თანხის გადარიცხვა შეუძლიათ როგორც კერძო პირებს, ისე წარმოება - დაწესებულებებსაც.

ინსტიტუტში შემსვლელებს შეაქვთ რექტორის სახელზე განცხადება, რომელსაც თან ერთვის:

—საშუალო სასწავლებლის (საშუალო სკოლა, ტექნიკუმი) დამთავრების ატესტატი; —ცნობა სამუშაო ადგილიდან; სამედიცინო ცნობა; 6 ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4; პასპორტს წარადგენენ პირადად.

ინსტიტუტში ჩარიცხვისას შეღავათებით სარგებლობენ მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენლები და უდედმამო ახალგაზრდები.

განცხადებები მიიღება 1991 წლის 19 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 17 საათამდე.

გასაუბრება 8—12 ოქტომბერს.

ჩარიცხვები 14-15 ოქტომბერს.

მეცადინეობა დაიწყება 21 ოქტომბერს.

მისამართი: ქ. სოხუმი, ეშბას 164, სოხუმის მენეჯერების ინსტიტუტი.

ტელეფონები: მიმღები კომისიის— 4—41—54, რექტორის 4—19—39.

რექტორატი.

* * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 14 ივნისს მიღებული დებულების—„საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ", —საფუძველზე დამფუძნებელთა საბჭოს ინიციატივით შეიქმნა სოხუმის მენეჯერების ინსტიტუტი. ამ საბჭოს ერთ-ერთი წევრია ზუგდიდის საქველმოქმედო ფირმა „ქველის" პრეზიდენტი თამაზ ლატარია, რომელსაც განზრახული აქვს მომავალი წლისათვის ქალაქ ზუგდიდში გახსნას აღნიშნული ინსტიტუტის ფილიალი.

ვუსურვოთ კეთილი ჩანაფიქრის აღსრულება.

---

და ციალა, სიძე გურამი შვილებით: გოჩა, ხვიჩა რაფავები იუწყებიან
**აგრაფინა კადრიბის ასულ მებონია-ზარქუას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 სექტემბერს ხობში. გამოსვენება რუსთაველის 18-დან.

---

ჭითაწყარის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ზოია ლატარიას მეუღლის
**თენგიზ სორდიას**
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ლუიზა, შვილები: ნინო, ნონა, ზვიადი. ძმები: ვაჟიკო, ბონდო, ალიოშა. სიძე კახა გოგოხია. შვილიშვილები: ზურაბი, ნიკა. რძლები: მოკონა, ნადია, გულნაზი. ძმისშვილები: მზია, ნაზო, ხათუნა, შორენა, რაჟდენი, ლია, ლავრენტი, თეა, ბაკური. მზახლები: ციალა, ვაჟა გოგოხიები, ცოლისძმა, ცოლისდები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან
**გივი რაჟდენის ძე შულაიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28 სექტემბერს. დაკრძალვა 29 სექტემბერს სოფ. ნარაზენში.

---

მეუღლე ავრორა. შვილები ეთერი, ემზარი, ნუგზარი, რძლები: ციცო მაჩაბელაძე, მადონა აბაკელია. სიძე კობა ფანგანი. შვილიშვილები მიდეა, ხათუნა, ნათია, ლიკა. შვილიშვილისშვილი სალომე, ცოლისძმა ბოჩია, ცოლისდა თაკუნა ლომაიები. ბიძაშვილები: ტოტოშა, შალიკო, ბონდო იობიჩიები. ახლო ნათესავები იუწყებიან
**ინდიკო ავქსენტის ძე გობეჩიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28 სექტემბერს. დაკრძალვა 29 სექტემბერს ზუგდიდში. გამოსვენება ენგელსის პირველი შესახვევი 7-დან.

---

მეუღლე ნუნუ, შვილები ჟანა, ჯონი, და ცინარა. ძმები: კარლო, რაფიელი. სიდედრი ჟუჟუნო თოდუა. ბიძები, მამიდები ცოლისძმები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან
**შაქრო (ბუტა) დურუს ძე ესართიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28 სექტემბერს. დაკრძალვა 29 სექტემბერს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება კიროვის ქ. სახლი 28. ბინა 16-დან. (ი. ბ. კ.).

---

მეუღლე ლინა. შვილები: ინეზა, ნამიზა, ლენიზა. მურთაზი. თამაზი. მზევარი. ძმა ვენია მამფორია. ცოლისდა მაცო ქანთარია. მამიდა ოლგა გვაჯაია. ბიძაშვილი ლონდიკი და გული კოდუები. რძლები თამარა. ნელი. ციცო. ნანი. სიძეები ჯემალი ჯაბუა. დემური დარასელია. ტარიელ წოწონავა შვილიშვილები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**რაფიელი (დაფუ) ვანოს ძე მამფორიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28. 29. 30 სექტემბერს. დაკრძალვა 1 ოქტომბერს სოფელ ორულუში.

---

მეუღლე ნუცა. შვილები თინა, რუბენი. ძმა პეპიკო ჯიქია, ცოლისძმა იროდი კემულარია. რძლები ია. ლოლა. თალიკო, სიძე ნაპო პელიძე. შვილიშვილები: დათო. ირმა, შორენა ჯიქიები, ნატო. ნანა, ელგუჯა პელიძეები. დისშვილი ლიტუშა პაპასკირი, ძმისშვილები: მზია. ქეთო. ფატიმა, ოლეგი. ჯონი. ბადრი, მერაბი ჯიქიები, ბიძაშვილები: ვენია. ვანია ჯიქიები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები ოჯახით იუწყებიან
**ჯურგა პლატონის ძე ჯიქიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28. 29. 30 სექტემბერს. დაკრძალვა 1 ოქტომბერს სოფ. ორსანტიაში.

---

მეუღლე თედორე, და მარუსია, შვილები: ვალერიან. ნინა, გულნარა ლევინჯილიები ნუცა წურწუმია. რძლები: მზია ჩიქავა. გალინა ზაქარაია. შინო. ლურა. შურა ეხვაიები. ნინო ოშხია, ნესტან ფიფია, ეკა ჩილაჩია. სიძეები: ალექსი პაპკორია. ჰაბუკა გობეჩია. შვილიშვილები: თენგიზი. მერაბი. თამაზი თემური. ქეთინო ლევინჯილიები. ნინო. ონისე ლოჩიები, ზურაბი გეთია. დისშვილები ძმისშვილები, მულისშვილები იუწყებიან. რომ გარდაიცვალა
**ჟუჟუ (მინუშა) სტეფანეს ასული ეხვაია-ლევინჯილია.**
პანაშვიდი 28 სექტემბერს. დაკრძალვა 29 სექტემბერს სოფელ ზემო კახათში 5 საათზე.

---

ბიძები უშანგი და ნოე. დეიდები თამარა და. ნორა ხაინდრავები ოჯახებით იუწყებიან
**აშოთ ილიკოს ძე ლუბელაძის**
გარდაცვალებას.

---

მეუღლე ეთერი. შვილი მალხაზი. დები: ბედიშა. ციალა, რძლები: ნანი რიგვავა. ირა გოცირიძე, ბიცოლები: ბაბო მაქაცარია. ქასიანე, გრაფი ფაცაციები. ბიძა იროდი შეჭელია. სიდედრი ანუშკა დარასელია, შვილიშვილები: დათა. სალომე. დისშვილები ვაჟიკო. ნანული, მზია ჯანაშიები, ზვიადი, ხათუნა ანთიები. კახა. კობა ფიფიები, სიძეები: ვაჟა ანთია, ალიკო ფიფია. სოსო ჯოჯუა. ცოლისდები: ვენერა. მადონა. ცოლისძმები: გივი. გურამი დარასელიები. ქვისლი ვალერიანი ვეკუა. მზახალი ლუდიკო რიგვავა, დეიდაშვილები: კაკო, უდა. ნანული გული. ზაირა. ეთერი ქანთარიები, ბიძაშვილები: თომა. ჯუმბერი. მურთაზი. თამაზი. კანდიდი. ბორისი. ნოდარი. სვეტა. იზოლდა. ნატო. იამზე ფაცაციები. ახლო ნათესავები იუწყებიან
**ვალიკო გრიშას ძე ფაცაციას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 სექტემბერს სოფელ რიყეში.

---

მიმოზა. გენო. მელორი. სოსო სორდიები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის
**თენგიზ ტარიელის ძე სორდიას**
გარდაცვალებას.

---

დედა ნადეჟდა ზაგორულკო, მეუღლე ბიჭიკო. შვილები სერგეი. ალბერტი. რძლები ვალია. ვალენტინა. ნუცა. იზა. ეთერი. შვილიშვილები ალექსანდრე, ანა. ბიჭიკო ავიტისიანები. დეიდა ლუსია. დედამთილი თამარი, მაზლები: ვახტანგი. ანზორი. ზაური. მოლი ნათელა იუწყებიან
**როზა ალექსანდრეს ასულ ზაგორულკო-ავიტისიანის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28 სექტემბერს. დაკრძალვა 29 სექტემბერს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება დაიით აღმაშენებლის ქუჩის, ჩიხი 7-დან.

---

ქალაქ ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის მეორე (მესამე) კლასის მოსწავლეთა მშობლები თანაუგრძნობენ მასწავლებელ ნუნუ იზორიას მეუღლის
**თორნიკე ირაკლის ძე კიზირიას**
გარდაცვალების გამო.

---

მული ლამარა ჩქოტუა. სიძე გიორგი გულორდავა შვილებით: მარინა და ბორის გულორდავები. რძალი ნანა სოსელია იუწყებიან რძლისა და ბიცოლას
**ნელი ალექსანდრეს ასულ ფანჩულიძე-ჩქოტუას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის სააფთიაქო ბაზის. რეგიონალური საწარმოო გაერთიანების ფარმაციის და ლაბორატორიის თანამშრომლები იუწყებიან
**ლიდიშა ბესლანის ასულ ჩიქოვანი-თოდუას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ციალა. დედა თამარა. შვილები: მიმოზა. მურმანი. გულადი. თეზიკო. თეთრიკო. თინიკო. თუთანა. ძმები: გივი. ტუღუ. გონელი, ნოკო, თალიკო. ვახტანგი. რძლები: როზა. ციალა. გოგუცა. ლამარა. ეთერი. ლეილა. ძმისშვილები: ნუგზარი ნანული. ზაირა. ბორისი. რევაზი. ფატიმა. ლიანა, ჯონი. გიგლა. რაული. მახარე. კახა. მადონა. მედიკო, მანანა. მამუკა. ხვიჩა. ანჟელა. ჯემილა. კოზა. ინგა, ლალი, ია. ცოლისძმები: ოლიფანტე. რეზო. ზური ხასიები. ცოლისდები: ქვათა. ნურია. კურკუნტი. ნარგიზა. სიძეები: ვალოდია ოთიანი. საშა დათიანი. შვილიშვილები: ოთარ. ცოტნე. ნანი. ეიტ[illegible] ნაოია. თემური. ილია. რომანი ნინო, ლევანი. ბიძაშვილები დეიდაშვილები. მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**ბონდო (ჩოჩი) ადოს ძე ჭითანავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28. 29 სექტემბერს. დაკრძალვა 1 ოქტომბერს სოფ. ოდიშში.

---

იანური. ანზორი და როინი მიქავები იუწყებიან ბიცოლას
**ლილი (ნაზო) ესტატეს ასულ ციკოლია-მიქავას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი ქ ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69. პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96. სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2 47 00.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28 07, ტირაჟი 8000 შეკ. — № 1367.